

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №152/ნ
2015 წლის 25 ნოემბერი ქ. თბილისი

„სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო
სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის
შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“
საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო
გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების (სსმ III, 22.04.2009წ., №49,
მუხ. 555; სარეგისტრაციო კოდი: 430.030.000.22.022.013.018) პირველი პუნქტის „ა“
ქვეპუნქტით დამტკიცებულ „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ 21¹
მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) 3 თვის შემდეგ უზრუნველყოფს ტესტური დავალებების განადგურებას;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი შარვაშიძე